საქართველოს მოსამართლეთა VIII კონფერენცია

(30 ივლისი 2011 წელი)

თბილისის საქალაქო სასამართლო

დღის წესრიგი

- რეგისტრაცია 11:00 – 12:00 სთ.
- 12:00 – 12:20 სთ.
  კონფერენციის გახსნა და მისასალმებელი სიტყვა
  (კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)
- 12:20 – 12:35 სთ.
  საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მოხსენება სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ
  (მომხსენებელი *ვალერი ცერცვაძე* - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი)
- 12:35 – 12:45 სთ.
  საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიში
  (მომხსენებელი *დიმიტრი გეგელია* – საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე)
- 12:45 – 12:55 სთ.
  ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევა
- 12:55 – 13:15 სთ.
  საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ახალი რეგლამენტის წარდგენა და დამტკიცება
  (მომხსენებელი *ლაშა კალანდაძე* – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე)
- 13:15 - 13:35 სთ.
  საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრების არჩევა
- 13:35 – 13:50 სთ.
  საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევა
- 13:50 – 14:00 სთ.
  სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევა
- 14:00 სთ. – სადილი

2011 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „დ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტი თანდართული სახით (დანართი: 6 ფურცელი).

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია
საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
2011 წლის 30 ივლისის №--1--- დადგენილებით

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
რეგლამენტი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს რეგლამენტი განსაზღვრავს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის (შემდგომში – კონფერენცია) საქმიანობის ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებებს, აგრეთვე კონფერენციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

კონფერენცია არის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისაგან.

მუხლი 3.

კონფერენცია იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს სასამართლოებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცებას, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას.

მუხლი 4.

1. კონფერენცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით.

2. კონფერენციის ქარტიას და რეგლამენტს, რომლებიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კონფერენცია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 5.

კონფერენცია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონიერების, კოლეგიურობის, საქვეყნოობის, სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული სხვა პრინციპების საფუძველზე.

თავი II. კონფერენციის უფლებამოსილებანი

მუხლი 6.

კონფერენცია:

ა) ირჩევს კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საბჭოს სხვა წევრებს;

გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს;

დ) ამტკიცებს კონფერენციის ქარტიასა და რეგლამენტს;

ე) ისმენს კონფერენციის ხელმძღვანელისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ;

ვ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს;

ზ) ახორციელებს კანონით, კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7.

1. კონფერენცია თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს მიმართვებისა და დადგენილებების სახით.

2. კონფერენციის გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების სისტემის ადმინისტრირების საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად.

3. კონფერენციის სახელით, კონფერენციის მიმართვებსა და დადგენილებებს ხელს აწერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი.

თავი III. კონფერენციის მუშაობის წესი

მუხლი 8.

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

2. რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა ადმინისტრაციული კომიტეტის ინიციატივით ან საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით.

3. კონფერენცია ტარდება განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე. დღის წესრიგს შეიმუშავებს ადმინისტრაციული კომიტეტი.

4. კონფერენციის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ მოსამართლეებს უნდა ეცნობოთ კონფერენციის მოწვევამდე არაუგვიანეს 7 დღისა.

5. კონფერენციის სხდომები ღიაა.

მუხლი 9.

კონფერენციის სხდომებს ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი.

მუხლი 10.

1. კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. კონფერენციის გახსნის წინ ტარდება მოსამართლეთა რეგისტრაცია.

2. კონფერენციის გადაწყვეტილება, როგორც წესი, გარდა კანონმდებლობით ან ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

3. მოსამართლეთაგან, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, აირჩევა კონფერენციის ხმის დამთვლელი კომისია 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს. ხმის დამთვლელი კომისია ხელმძღვანელობს კენჭისყრის პროცესს, თვალყურს ადევნებს და ითვლის ხმებს კენჭისყრის დროს.

თავი IV. კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და მისი უფლებამოსილებანი

მუხლი 11.

კონფერენცია საქართველოს კანონმდებლობით, კონფერენციის ქარტიითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ქმნის კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს (შემდგომში - ადმინისტრაციული კომიტეტი).

მუხლი 12.

1. ადმინისტრაციული კომიტეტი შედგება 9 წევრისაგან. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის და ადმინისტრაციულ კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობა აირჩევა 3 წლის ვადით.

3. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება და არჩევა ხდება კონფერენციაზე. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს.

4. კონფერენციის ყველა წევრს უფლება აქვს დაასახელოს თავისი კანდიდატურა და მოითხოვოს მისი კანდიდატურის განხილვა და კენჭისყრაზე დაყენება.

მუხლი 13.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი აირჩევა ღია კენჭისყრით, კონფერენციის დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც უფრო მეტ ხმას მიიღებენ.

მუხლი 14.

ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამუშაო და კალენდარული გეგმები, დღის წესრიგი;

ბ) კონფერენციის სხდომებს შორის შუალედში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და საბჭოს სხვა წევრები;

გ) კონფერენციის სხდომებს შორის შუალედში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს საერთო სასამართლოების

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში აირჩიოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები;

დ) მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს აქტები საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს კონფერენციას;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, კონფერენციის ქარტიითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 15.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი, თუ ის არ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

მუხლი 16.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 17.

ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ადგილია საქართველოს უზენაესი სასამართლო ან მისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილსამყოფელი.

მუხლი 18.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) ზედიზედ ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში კომიტეტის წევრობის უფლებამოსილების განუხორციელებლობა;

გ) მოსამართლეობის უფლებამოსილების შეწყვეტა;

დ) კონფერენციის მიერ კომიტეტის წევრობიდან გამოწვევა;

ე) უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ვ) გარდაცვალება.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილება ჩერდება საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან მოსამართლის ჩამოცილების შემთხვევაში.

მუხლი 19.

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების შემთხვევაში, გარდა „დ“ ქვეპუნქტისა, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებით.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის საკუთარი სურვილით შეწყვეტის შემთხვევაში წერილობითი განცხადება წარედგინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ საკითხს უზენაესი სასამართოს თავმჯდომარე აცნობს ადმინისტრაციულ კომიტეტს. კომიტეტის წევრს უფლებამოსილება უწყდება ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

მუხლი 20.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი კონფერენციამ შეიძლება ნებისმიერ დროს გამოიწვიოს, თუ ამას მოითხოვს კონფერენციის არანაკლებ ოცკაციანი ჯგუფი ან ადმინისტრაციული კომიტეტის არანაკლებ ორი მესამედი.

2. გადაწყვეტილება გაწვევის შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კონფერენციის დამსწრეთა ხმების უმრავლესობა.

მუხლი 21.

ადმინისტრაციული კომიტეტის ახალი წევრი უნდა აირჩეს არაუგვიანეს ექვსი თვისა, კომიტეტის შესაბამისი წევრის ვაკანტური ადგილის შექმნიდან.

მუხლი 22.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

3. სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ოქმის შემდგენი პირი.

მუხლი 23.

1. ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება ადმინისტრაციული კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. საკითხს კენჭისყრაზე აყენებს სხდომის თავმჯდომარე.

2. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას კომიტეტის წევრმა არ შეიძლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

3. გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ამ რეგლამენტის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4. გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციას დასამტკიცებლად არ წარედგინება, მიიღება დადგენილების სახით.

5. კომიტეტის წევრს უფლება აქვს წერილობითი ფორმით წარადგინოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 24.

1. დღის წესრიგის საკითხებს ადმინისტრაციულ კომიტეტს აცნობს კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში და გამოთქვას მოსაზრება დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებით, განსაზღვრულ საკითხთა შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების მომზადებისათვის, კომიტეტის სხდომაზე ხმის უფლების გარეშე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები.

თავი V. კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო

მუხლი 25.

1. კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზების მიზნებით კონფერენციასთან და ადმინისტრაციულ კომიტეტთან იქმნება სამდივნო.

2. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს ადმინისტრაციული კომიტეტი.

მუხლი 26.

სამდივნო:

ა) ამზადებს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომებს, უზრუნველყოფს სხდომათა ტექნიკურ მომსახურებას;

ბ) ადმინისტრაციულ კომიტეტთან შეთანხმებით წყვეტს სხდომათა მოწვევასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, საფინანსო და სხვა საკითხებს;

გ) ასრულებს კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ცალკეულ დავალებებს, ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო-კვლევითსა და საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადებას;

ე) ამზადებს და სხდომათა შორის პერიოდში მოსამართლეებს, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს აწვდის აუცილებელ საინფორმაციო მასალებს;

ვ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმისწარმოებას - სხდომათა ოქმების წარმოებას, დოკუმენტების აღრიცხვას, დანიშნულებისამებრ გადაცემას, შენახვას და სხვა;

ზ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებების მოსამართლეთათვის გაცნობას.

თავი VI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 27.

ამ რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ რეგლამენტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

ქ. თბილისი 30 ივლისი 2012 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს ლეილა მამულაშვილი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

ქ. თბილისი 30 ივნისი 2012 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს პაატა სილაგაძე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

ქ. თბილისი 30 ივლისი 2014 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად თამარ ზამბახიძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

ქ. თბილისი

30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს ვაჟა ფუხაშვილი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

ქ. თბილისი

30 აპრილი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს ბესიკ ბუგიანიშვილი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს ილონა თოდუა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს მარინა ხოლოაშვილი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნეს ნანა დარასელია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №12

ქ. თბილისი 30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე ლაშა კალანდაძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №13

ქ. თბილისი

30 ივლისი 2012 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №14

ქ. თბილისი 30 ივლისი 2012 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე შოთა გეწაძე.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე